აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 29

14 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ამომრჩეველთა სპეციალური სია:

1. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შესაყვანი, კენჭისყრის დღეს პატიმრობასა და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას, დაწესებულებების ხელმძღვანელები გადასცემენ საოლქო საარჩევნო კომისიას, ის კი გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის წინა დღეს.

2. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შესაყვანი, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესახებ ინფორმაციას, საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის წინა დღეს.

3. ამომრჩეველთა სპეციალური სია მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი კენჭისყრის დღის დილის 7 საათიდან 8 საათამდე

მუხლი 2. ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სია:

1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის

მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის წინა დღის 18 საათამდე.

2. ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სიაში შესაყვანი, კენჭისყრის დღეს პატიმრობასა და სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას, დაწესებულებების ხელმძღვანელები გადასცემენ საოლქო საარჩევნო კომისიას, ის კი გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის წინა დღეს.

3. ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სია მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი კენჭისყრის დღის დილის 7 საათიდან 8 საათამდე.

4. კენჭისყრის დღის 9 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს/წევრებს მიუთითებს ამომრჩეველთა ადგილსამყოფელის მიხედვით კენჭისყრის ჩატარებას და გადასცემს გადასატანი ყუთის სიას, ასევე ორი ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით დამოწმებულ შესაბამისი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებსა და კომისიის ბეჭდით დამოწმებულ სპეციალურ კონვერტებს.

5. ამომრჩეველთა ადგილსამყოფელის მიხედვით კენჭისყრის გასამართავად გამოიყენება ერთი გადასატანი გამჭვირვალე ყუთი. კომისიის მდივანი ვალდებულია ჩანაწერთა წიგნში აღნიშნოს, რამდენი სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს/წევრებს და რომელ საათზე გავიდა გადასატანი საარჩევნო ყუთი კენჭისყრის შენობიდან. არჩევნების დასრულების შემდეგ გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა დაჯამდება შედარების მიზნით. აღნიშნული პროცედურის განხორციელების შემდეგ დარჩენილ გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოეჭრება კუთხე, წაეწერება „ გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და ცალკე შეინახება.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე